ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1096422

ნომერი: AR1190963

თარიღი : 22.01.2014

გაცემის თარიღი : 27.01.2014

გაცნობის თარიღი : 27.01.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა მარსაგიშვილი პ/ნ 01001024315
- თბილისი ორხევი თ.ჩანტლაძის ქ. კორ. 22ა ბ. 38

ნომენკლატურა :

- საჩუქარი პროექტები
- შერჩეული პროექტის მშენებლობის ნებართვა გაპის არსებობის შემთხვევაში

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

თქვენს მიერ "მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები"-ს ველში მითითებული ნომრით (#144 09.02.2010წ.) გაპი გაცემულია არსებული შენობების რეკონსტრუქციაზე (მიშენებით), რაზედაც სამსახურის მიერ შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რის შემდეგაც ასევე სამსახურის მიერ მოხდა აღნიშნული შენობების დადასტურება. აქედან გამომდინარე გაპის ველში მითითებული ნომერი ვერ ჩაითვლება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებად. ასევე გაითვალისწინეთ, რომ საჩუქარი პროექტი გაიცემა ცალკე მდგომ ახალ შენობაზე რომელსაც ესაჭიროება ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამავდროულად თქვენი მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ში, რომელიც წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის განაშენიანების ზონას და მასზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე სამსახური თქვენს თხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge